სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი № 11

ქ. თბილისი 31.07.2019

სააპელაციო საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. **სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:**

1. **ნოდარ პაპუკაშვილი** - შპს „თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი“, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე

2. **ზურაბ გასიტაშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

3. **სოფიკო ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული დეპარტამენტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი

4. **გრიგოლ ტატიშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რაფაელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორი, რევაზ დოღონაძის სახელობის თეორიულ კვლევათა ლაბორატორიის მეცნიერ - თანამშრომელი;

5. **ეკა ლეფსვერიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის პროფესორი;

6. **თინათინ კაიშაური** - სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი, ა(ა)იპ - საქართველოს

შემოქმედებითი კავშირ საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ - კორესპონდენტი;

7. **გიორგი სალუქვაძე** - სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
არქიტექტურის,
ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორი, აკადემიური საბჭოს მდივანი

8. **თამარ ბაღდავაძე** - შპს „ლენდ მარკ პროჯექტის" არქიტექტორი; ა(ა)იპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ხელოვნების ლექტორი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ლევან გოგიჩაიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

ნათია მჭედლიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანალიტიკოსი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. შპს ელიტ სქული

მანანა ცეცხლაძე - სკოლის წარმომადგენელი

ასლან ცეცხლაძე - სკოლის წარმომადგენელი

ჯემალ ცეცხლაძე - სკოლის წარმომადგენელი

4. სხვა დამსწრე პირები:

1. **დავით მალაზონია** - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 26[4]-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად სააპელაციო საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე ნოდარ პაპუკაშვილი.

სხდომა გაიხსნა 17:00 საათზე, საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სააპელაციო საბჭოს არ ესწრებოდა საბჭოს მდივანი. საბჭოს თავმჯდომარემ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 26[5] მუხლის მე - 4 პუნქტის შესაბამისად საბჭოს მდივნის ფუნქციების შესრულება დაავალა საბჭოს წევრ სოფიკო ლობჟანიძეს.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 26[7]-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს ელიტ სქულის სააპელაციო საჩივრის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა წარმოდგენილი. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

1. **შპს ელიტ სქულის სააპელაციო საჩივრის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და საჩივართან დაკავშირებულ მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა სკოლის წარმომადგენელს. სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, სკოლა არ ეთანხმებოდა მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის შემდეგ ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ დასკვნაში აღნიშნულ ფაქტს იმის შესახებ, რომ დაწესებულებამ 30.10.2017 წელს ავტორიზაციის გავლის შემდეგ იჯარის ხელშეკრულებაში შეიტანა ცვლილება, რითაც შეიმცირა ფართი და მონიტორინგის ვიზიტის დროს დაწესებულება ფლობდა ფართს 150 კვ.მ-ს, 634 კვ.მ.-ის ნაცვლად. სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, არ არსებობდა დოკუმენტი, რითიც აღნიშნული დადასტურდებოდა. საბჭოს წევრმა გრიგოლ ტატიშვილმა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარეს დავით მალაზონიას სთხოვა განმარტება ღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით. დავით მალაზონიამ სააპელაციო საბჭოს წევრებს წარუდგინა სკოლის მიერ ცენტრში გაგზავნილი არგუმენტირებული პასუხი ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, სადაც სკოლა აღნიშნავდა, რომ სკოლამ ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ დაიბრუნა ავტორიზაციის მიღების დროს არსებული 634 კვ.მ - ფართი.

საბჭოს თავმჯდომარემ სკოლის წარმომადგენელს მიმართა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში აღნიშნული იყო, რომ ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია ერთ ოთახში იყო, ქიმიური რეაქტივები ინახებოდა ღია კარადაში.

სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამ ეტაპზე სკოლაში სწავლას მიმდინარეობდა მხოლოდ დაწყებით საფეხურზე და სკოლა არ იყენებდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიას.

საბჭოს წევრმა ეკა ლეფსვერიძემ განაცხადა, რომ ქიმიური რეაქტივების ღია კარადაში შენახვა ძალიან სახიფათო იყო მოსწავლეების ჯანმრთელობისთვის, მითუმეტეს როდესაც ის ინახებოდა

ოთახში, სადაც გაერთიანებული იყო ბიბლიოთეკა და კომპიუტერული კლასი, მოსწავლეებს შეიძლება აეღოთ და გამოეყენებინათ ჯანმრთელობისთვის საშიში ქიმიური რეაქტივები.

სააპელაციო საბჭოს წევრები დაეთანხმნენ ეკა ლეფსვერიძის განცხადებას.

სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პრობლემა სკოლამ მოაგვარა, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია გაიმიჯნა და რეაქტივები შენახულ იქნა წესების დაცვით.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ სააპელაციო საბჭოს წევრებს მიმართა, რომ ავტორიზაციის საბჭომ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიასთან და მისი უსაფრთხოების წესების დაცვასთან დაკავშირებული დარღვევა მიიჩნია ძალიან სახიფათოდ მოსწავლეების ჯანმრთელობისთვის.

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ დამატებით კითხვები. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ელიტ სქულის საკითხის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 8

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის მე - 3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 26^7 - ე მუხლის მე - 2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გაზიარებულ იქნას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 03.06.2019 წლის N 17 გადაწყვეტილება შპს ელიტ სქულის (ს/კ 247009053) ავტორიზაციის საკითხი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ 18:50 წუთზე სააპელაციო საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

ნოდარ პაპუკაშვილი

მდივანი

სოფიკო ლობჟანიძე